

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

სახელითა უზენაესითა

ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო
დეპარტამენტსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საბაჟოს შორის

საბაჟო საკითხებისა და ურთიერთობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტი და ირანის ისლამური
რესპუბლიკის საბაჟო, რომელნიც შემდგომში იწოდებიან „მხარეებად“,

გამოხატავენ რა მისწრაფებას, შეინარჩუნონ და განამტკიცონ გრადიციული
მეგობრული ურთიერთობანი,

ეუუძნებიან რა საერთო ინტერესებსა და კეთილ ნებას,

ითვალისწინებენ რა ეკონომიკური საქმიანობისა და საქონლის გრანზიტის
ზრდას ორ ქვეყანას შორის, საბაჟო თანამშრომლობის გაფართოებისა და
ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

კარი 1

მხარეები გააერთიანებენ ძალისხმებას ორი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობასა
და პროცედურებთან დაკავშირებული გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარების
მიმართულებით, განსაკუთრებით სააგრო-ეკონომიკური საქმიანობისა და ექსპორტისა
და იმპორტის სფეროში.

კარი 2

ორ ქვეყანას შორის მგზავრთა ნაკადის ნაკადების დაჩქარების მიზნით, მხარეები
უზრუნველყოფენ ღონისძიებების განხორციელებას საბაჟო ფორმალობების
გასამარტივებლად, მათ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

კარი 3

მხარეები შეთანხმდნენ ორივე ქვეყნის საბაჟოებში შექმნან კომისიები,
რომლებიც ყურადღებას მიაქცევენ საბაჟო შეთანხმებათა შესრულებას და დაძლევენ იმ
სირთულეებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც ხვდებათ ორივე მხარის საქმიანი
წრეების წარმომადგენლებს მეორე ქვეყნის საბაჟო საკითხებთან დააკვირებით.

კარი 4

მხარეები ითანამშრომლებენ საბაჟო საბუთებისა და დოკუმენტების ურთიერთობისა და გაცვლის საქმეში და ჩააგარებენ კვლევას საერთაშორისო წესების შესაბამისად ერთგვაროვანი დოკუმენტაციის შესაქმნელად.

კარი 5

მხარეებმა მიადწიეს შეთანხმებას სპეციალისტების გაცვლის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ორივე ქვეყნის საბაჟოს შესახებ აზრთა გაზიარების, კვლევითი სამუშაოების ჩაგარებისა და საბაჟო პროცედურების მეთოდების გაუმჯობესებისა და გაიოლებისათვის წინადადებების შეთავაზებას.

კარი 6

მხარეები ითანამშრომლებენ ორ ქვეყანას შორის საქონლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გადაგანასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, გააცნობენ ერთმანეთს მოწინავე ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება კონტრაბანდული საქონლისა და ნარკოტიკების აღმოსაჩენად და მათი გადაგანის აღსაკვეთად, აცნობენ მეორე მხარეს მათ დასაფარავად გამოყენებულ სამალავეებს და აგრეთვე, მათ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ითანამშრომლებენ უკანონოდ გაგანილი კულტურული ფასეულობების დაკავებასა და დაბრუნების მიზნით.

კარი 7

ბეპირი ან წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც მხარეები გაუზიარებენ ერთმანეთს, ითვლება საიდუმლოთ და გამოიყენება მხოლოდ ამ ურთიერთაგებების მემორანდუმის შესასრულებლად.

კარი 8

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობის, კვლევისა და მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე კონტროლის მიზნით, წელიწადში ერთხელ, მონაცვლეობით ჩააგარებენ ორი ქვეყნის საბაჟო სამსახურების ერთობლივი კომისიების სხდომას, ურთიერთგაგების მემორანდუმში ასახული შეთანხმებანი განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში და ნაკლოვანებების შემჩნევის შემთხვევაში საბაჟო სამსახურების მომავალ სხდომაზე გააგარებენ ღონისძიებებს, მათი დაძლევისა და გადასინჯვის მიმართულებით.

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმში შედგენილია ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1995 წლის „ „ აპრილს, შესაბამისად, მზის ჰიჯრის 1374 წლის 1 ორდიბეჰემთს, 8 კარად, ორ პირად, ქართულ და სპარსულ ენებზე, ამასთან, ორივე

პირს თანაბარი ძალა გააჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის სახელით

ირანის ისლამური რესპუბლიკის საბაჟოს სახელით